კორპორაციული მმართველობის მეთოდები მცირე და საშუალო ბიზნესის გასანვითარებლად: ღვინის საწარმოების მაგალითზე

დავით ვაჭარაძე
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობითი მოდელის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და ორიენტირებული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შესრულებული კვლევის შედეგად გამოვლენილი უმთავრესი პრობლემების გადაჭრაზე. კერძოდ: სწრაფად ცვალებად ფინანსურ და სამართლებრივ გარემოში საწარმოო პროცესების წარმართვა და მათი მდგრადად განვითარებაზე ორიენტირება, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, გარე და შიდა ინვესტიციების მოზიდვას ბიზნესში და ა.შ.. საამისოდ დასაძლევია ისეთი პრობლემები, როგორიცაა პერსონალის არასაკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, ინოვაციების ნაკლებობა, დაფინასების სიმცირე და ა.შ.,

სტრუქტურა და მეთოდოლოგი - ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მეთოდები. სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით მოხდება საკითხის შესწავლა-ანალიზი და შეფასება, რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით კი, სტატისტიკური მასალის დამუშავება. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდების, ემპირიული განზოგადების და შედარების ანალიზის მეთოდებით განხორციელდება ღვინის საწარმოების საოპერაციო საქმიანობის გამოკვლევა.

დასკვნები - შეთავაზებული მოდელით წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა ქართული რეალობის გათვალისწინებით.

კვლევის შეზღუდვები - კვლევის შედეგების დანერეგვა და ობიექტზე დაკვირვება რთული პროცესია, რაც აბრკოლებს მიღებული შედეგების გაზომვას. რთულია აგრეთვე შედეგების ეფექტიანომის ზუსტი შეფასება ორგანიზაციების საქმიანობაზე.

სიახლე/ღირებულება - დღევანდელ ქართულ რეალობაში არ არსებობს შემუშავებული მოდელი, ან კონკრეტული რეკომენდაციები მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. შეთავაზებული მოდელი ორიენტირებული იქნება გარე გამოწვევებზე დროულ რეაგირებასა და ადაპტირებაზე
სწრაფად ცვალებად გარემოსთან, რაც წარმოადგენს სიახლესა და
ღირებულებას მცირე ბიზნესის გასანვითარებლად.